თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

Номер: 0324/730/22

Дата: 24/03/2022


შპს ,,კუბიკის" დირექტორ

ბ-ნ შალვა ოსიპოვს

24.03.2022 #0324/093/22 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.72.14.014.338) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს. შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)



წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება ელექტრული ქსელების საზოგადოების დაცვის წესებსა და ზონებს

შეთანხმების თარიღი 24.03.22

შეთანხმებულია

დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

1 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
2 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
3 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.3

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

მენობათა განთავსების პირობითი კონტური

პირობითი აღნიშვნები

ელექტროგამანაწილებელი ჯიხური

კომპლექსის შიდა ელექტრომომარაგების სისტემა

დამკვეთი: შპს "კუბიკი" ს.ნ. 405212041	MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შემსრულა: ლ. ქობულია შემსრულა: მ. სამარღანიშვილი შემსრულა: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება ელექტრომომარაგება	კოდი C.I.P	გვერდი 40 სულ გვერდები //
				თბილისი. აბრალური უნივერსიტეტის ყოფილი ტერიტორია ს.კ. 01.72.14.014.338		მასშტაბი 1:1000	ფორმატი A2 (594x420)

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0805/180/21
Дата: 05/08/2021

მოქ. გივი კახაბრიშვილს

30.07.2021 #0730/440/21 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთის (ს.კ.01.72.14.014.338) მიმდებარედ გადის სს ,,თელასის" კუთვნილი საკაბელო ელ. გადამცემი ხაზები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილებაის ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

ასევე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გადის სს ,,თელასის" კუთვნილი 10კვ–ის საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ა.ა.ე და მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი გ; თანახმად საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.

2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 2 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.

3. მშენებლობის დროს დაპროექტდეს და მოეწყოს დამიწების კონტური ელ. დანადგართა მოწყობის წესების შესაბამისად.

4. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 6კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).

5. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (10 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის“ შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ.ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

№ 0623-0812053 D 29.06.2023

შპს გრინლაიფ-Grenlife
ბატონ ნუგზარ ჩაჩანიძეს
ელ. ფოსტა: info@greenlife.ge
ტელეფონი: 577151186

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის IN23-0810162, თარიღი 26/06/2023წ.), რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე ს/კ 01.72.14.014.338 მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99;

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი- საპროექტო დოკუმენტაცია;

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (21 02)

IN23 – 0310162

GWP
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერი"
ვაკე-საბურთალოს წყლის ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ. № "28" ივნისი 2023წ.
საჭიროების დადგომის შემთხვევაში
იძახეთ GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

წყალსადენი ქსელის მშენებლობა
და ონკოლოგიური ცენტრის
მოთხოვნები

4MA architects
ს/კ 404534445

ა. მელიავილის ქ.
ა. ფოცხიშვილის ქ.
და ჭოველიძის ქ.
მ. სამარტყოფელის ქ.

შპს "ჯორჯიან-ტიფლ
ს/კ 417281215

ქ. თბილისი, ვაკე-საბ
ნაკვეთი 01.72.14.014

ადგილმდებარეობა

ნახაზი 2

4602000

4627350

1:500, 1:1000

A2

26.06.2023

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-39575-23
22 / 06 2023

შპს „გრინლაიფი“-ს წარმომადგენელს
თენგიზ გოგინაშვილს

ბატონო თენგიზ,

თქვენი მიმდინარე წლის 16 ივნისის №02-01-39575-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.014.338) კომუნიკაციების დაზუსტებასთან და გენგეგმის დამოწმებასთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს ფიქსირდება შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი საჰაერო D=76 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი. კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:


- საჰაერო D=76 მმ-იანი დაბალი წნევის მილსადენთან მიმართებაში აუცილებელია დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდოს ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.
  მოთხოვნისამებრ გიგზავნით კომპანიის ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.
  შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.


დანართი: გენგეგმა - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR





შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარმგისტრაციო № 02-01-39575-23
20 | 06 2023 წ.

	MA architects ს.ნ. 404544445
საპროექტო ჯგუფი	ა. მგალობლიშვილი ა. სულაბერიძე ლ. ქობულია მ. სამარტაბიშვილი
დამკვეთი	შპს "გრინლაიფ-Greenlife" ს.ნ. 417881215
ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი, დიდი დიღომი ნაკვეთი: 01.72.14.014.338
დასახელება	გენერალი ბლოკი 2
მასშტაბი	1:500, 1:1000
ფურც. ზომა	A2 oversize (625 mm X 450 mm)
თარიღი	2023-06-19

№ 0621-0554608 D 21.09.21

ბატონ გივი კახაბრიშვილს
ელ.ფოსტა: kamladzeguka@gmail.com
ტელეფონი: 598 89 77 09

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN21-0552241 თარიღი 13/09/2021წ.) ქ. თბილისი, აგრალული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.72.14.014.338 მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ როგორც ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.72.14.014.338 გაედინება წყალარინების D=200 მმ-იანი ქსელი. ხოლო ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება წყალსადენ-წყალარინების ქსელები თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელებიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელებიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ-წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას“ აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) “კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, “კომპანია“ იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინებოდეს სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,


გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (2102); (1127)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

სიტუაციური ნახაზი

IN21-0552241



მაშტაბი: 1:1,000

0 5 10 20 30 40 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისძვეშა კომუნიკაციები

წყალმომარაგების გვირაბი

წყალმომარაგების მილი

წყალარინების ქსელი

9/17/2021

GIS სამსახური
ქ. გიგლემიანი
"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"